პროლეტარელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 34 (18576) ხუთშაბათი, 10 თებერვალი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

კადრები მოვამზადოთ გულმოდგინედ, ბეჯითად

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო პირველად უკანასკნელ წლებში ასრულებს სამრეწველო და სხვა ობიექტების მშენებლობისა და დამონტაჟების სახელმწიფო დაგალებებს. აშაოლდა მშენებლობის ტექნიკური დონე, განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გადიდდა სამეურნეო-ანგარიშიანი ბრიგადების ხვედრითი წილი და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა. განხორციელდა მშენებელთა შრომის ორგანიზაციისა და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი.

ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით კადრების მომზადების, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის სამინისტროს მუშაობის საკითხი, აღნიშნა, რომ წარმატებანი უფრო დიდი იქნებოდა, სამინისტრო, კერძოდ, ჯეროვნად რომ მოჰკიდებოდა ისეთ მნიშვნელოვან საქმეს, როგორიც კადრებთან მუშაობაა.

სამინისტროს კოლეგიამ, სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციებმა, აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ვერ მიაღწიეს იმას, რომ კადრებთან მუშაობა გამხდარიყო თითოეული ქვეგანაყოფის საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა. შრომის ნაყოფიერება წელა იზრდება. დიდია სამუშაო დროის დანაკარგები და ხელის შრომის დანახარჯები. სუსტად ინერგება სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, ბრიგადული იჯარის მეთოდი. ჯერ კიდევ მაღალია მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების დენადობა.

ეფექტიანი არ არის სამინისტროში არსებული მშენებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. სასწავლო-მატერიალური ბაზის აღჭურვილობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ სწავლების ახალი ფორმები და მეთოდები არ არის გამოყენებული. სპეციალისტ მუშათა მოსამზადებელი კურსები და საბაზო პროფტექნიკური სასწავლებლები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ მშენებლობებს კვალიფიციური მუშებით, ცოტა ახალგაზრდა მშენებელი იგზავნება სასწავლებლად უმაღლეს სასწავლებლებში სამშენებლო ორგანიზაციების ხარჯზე სტიპენდიის მიცემით. დასაწინაურებელ მუშაკთა რეზერვის შექმნასა და მათს ატესტაციაში არის ფორმალიზმის ელემენტები. დაბალია სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის.

ნაკლოვანებანია მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ორგანიზაციაშიც, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის, სპეცტანსაცმლით მშრომელთა უზრუნველყოფის საქმეშიც. ყურადღება არ ეთმობა დამხმარე მეურნეობების შექმნას, კოლექტიური მებაღეობის განვითარებას.

კადრებთან მუშაობის საკითხი არცერთხელ არ განუხილავთ სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე. კვლავ დაბალია ტრესტებისა და სამმართველოების კადრების განყოფილებათა ორგანიზატორული როლი. მათი მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც არა აქვთ საჭირო მომზადება, ხშირად თავის ფუნქციებს ამოწურავს მხოლოდ მუშაკთა მიღება-დათხოვნის დოკუმენტების გაფორმებით.

ყველა ეს ნაკლი იმის ბრალია, რომ არ იყო მიზანდასახულობა ადამიანებთან მუშაობაში, მზრუნველი და გულისხმიერი დამოკიდებულება მათი საჭიროებისა და მოთხოვნებისადმი, ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმს ავლენდა მინისტრის მოადგილე კადრებისა და ყოფა-ცხოვრების დარგში გ. მ. მიქაძე, კომპეტენტორობას მოკლებული იყო კადრების სამმართველოს უფროსი გ. ა. კალანდაძე.

კადრების აღზრდის მუშაობის სტილი არ გარდაუქმნიათ სამინისტროს აპარატის, ტრესტებისა და საწარმოების პარტიულ ორგანიზაციებსაც. ისინი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ კადრების სწორ შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, მუშაკებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, არ უწევენ დახმარებასა და მხარდაჭერას, ურიგდებიან ადამიანებთან გულმოდგინე მუშაობის ადმინისტრირებით შეცვლის ფაქტებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით კადრების მომზადების, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მუშაობის საკითხი, არადამაკმაყოფილებლად ცნო იგი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კოლეგიას უზრუნველყოს ამ მუშაობის პარტიული პრინციპების განუხრელი დაცვა და არ დაუშვას ამ მუშაობაში ადმინისტრირება, უმოკლეს დროში სრულყოს კადრების სამსახურის სტრუქტურა კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის სამეურნეო პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

დარგში ინჟინერ-ტექნიკური და მუშათა კადრების დამკვიდრებისათვის საჭიროა ნიადაგ უმჯობესდებოდეს მუშაკთა საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, უფრო ფართოდ იყენებდნენ მათი შრომის მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას.

სამინისტროს ხელმძღვანელობას წინადადება მეეცა სასწავლო კომბინატებსა და პუნქტებში მუშაობისათვის მიზზიდოს საუკეთესო ბრიგადირები, შრომის ვეტერანები, დამსახურებული მშენებლები, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დამლევამდე დაამთავროს სამშენებლო სამსახურების ყველა მუშაკის ატესტაცია, რათა განსაზღვროს მათი კომპეტენტურობის დონე და თანამდებობებზე ყოფნის მიზანშეწონილობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ვ. ტ. გოგოლაძეს მოსთხოვა გარდაქმნის კადრებთან მუშაობა, მიანიჭოს მას უპირველესი მნიშვნელობა. სამინისტროს აპარატის, სტრუქტურული ქვეგანაყოფების პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, უზრუნველყონ კომუნისტთა აქტიურობის, კოლექტივის ცხოვრების ყველა მხარეზე პარტიული გავლენის ეფექტიანობის ამაღლება. პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან მონაწილეობდნენ კადრების რეზერვის შექმნაში, საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, პერიოდულად ისმენდნენ ბიუროების სხდომებზე, კრებებზე კომუნისტთა — კადრების სამსახურების მუშაკთა ანგარიშებს, ქმნიდნენ თითოეულ კოლექტივში ჯანსაღ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კლიმატს, არ ურიგდებოდნენ უყაირათობას, დავალებათა შესრულების ჩაშლის ფაქტებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრის ბ. ბ. ბარსუკოვი, ო. მ. ივანაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. ა. კვაშაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მფრინავებმა ი. სამადალაშვილმა, თ. იაროსლავცევმა, მ. ძუგუტოვმა და სხვებმა.

მგზავრები ყველაზე ხშირად ეცნობიან ახლოდან ფრენის ბილეთებს ეკიპაჟს, რომლითაც მიფრინავენ, მაგრამ ყოველ მგზავრობას — აფრენით დაფრენებით და დაშვებით დამთავრებული — უზრუნველყოფს დედამიწაზე მომუშავე ასობით ადამიანი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საიმედო მფრინავი ფრენა მარტო ტუ-154-ს ერთ რეისზე გადაჰყავს მეტი მგზავრი, ვიდრე რესპუბლიკის მთელ მაშინდელ სამოქალაქო ავიაციას ერთ თვეში გადაჰყავდა. სულ კი შარშან ჩვენი სამმართველოს თვითმფრინავებმა გადაიყვანეს დაახლოებით ორ მილიონნახევარი მგზავრი. მაგრამ აეროფლოტი მარტო მგზავრების გადაყვანა როდია. ეს არის 16600 ტონა ფოსტა და ტვირთი მარტო ჩვენი სამმართველოს ბაზით, ცოდან დამუშავებული 460 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სანიტარიული ავიაციის მიერ გადარჩენილი ათობით ადამიანი... ძირითადად ეს სამუშაოები რეაქტიული ტექნიკის საშუალებით შესრულდა. სხვათა შორის ტუ-104 თვითმფრინავები ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველებმა ითვისეს ჩვენი სამმართველოს მფრინავებმა ი. სამადალაშვილმა, თ. იაროსლავცევმა, მ. ძუგუტოვმა და სხვებმა.

მგზავრები ყველაზე ხშირად ეცნობიან ახლოდან ფრენის ბილეთებს ეკიპაჟს, რომლითაც მიფრინავენ, მაგრამ ყოველ მგზავრობას — აფრენით დაფრენებით და დაშვებით დამთავრებული — უზრუნველყოფს დედამიწაზე მომუშავე ასობით ადამიანი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საიმედო მფრინავი ფრენა მარტო ტუ-154-ს ერთ რეისზე გადაჰყავს მეტი მგზავრი, ვიდრე რესპუბლიკის მთელ მაშინდელ სამოქალაქო ავიაციას ერთ თვეში გადაჰყავდა. სულ კი შარშან ჩვენი სამმართველოს თვითმფრინავებმა გადაიყვანეს დაახლოებით ორ მილიონნახევარი მგზავრი. მაგრამ აეროფლოტი მარტო მგზავრების გადაყვანა როდია. ეს არის 16600 ტონა ფოსტა და ტვირთი მარტო ჩვენი სამმართველოს ბაზით, ცოდან დამუშავებული 460 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სანიტარიული ავიაციის მიერ გადარჩენილი ათობით ადამიანი... ძირითადად ეს სამუშაოები რეაქტიული ტექნიკის საშუალებით შესრულდა. სხვათა შორის ტუ-104 თვითმფრინავები

საქმეზე გამოაჩინა

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ემზადება საწარმოს დაარსების 100 წლისთავისა და პარტიული ორგანიზაციის ჩამოყალიბების 85 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს მომდინარე წლის დავალება გადაჭარბებით შეასრულოს და საგრძნობლად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

ელექტროვაგონშემკეთებლებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას „სანმოუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“.

სურათზე: (მარცხნიდან) თქვენ ხედავთ მოწინავე დურგალს ვ. ქოქოშვილს, ბრიგადირ ს. ტიგრანიანს, ინჟინერ მ. ინასარიძეს, ვაგონების შეკეთებელი საამქროს პარტბიუროს მდივანს გ. გელაშვილს და ელექტროშემდუღებელ ზ. ჩიტაძეს, რომლებიც განიხილავენ შესაკეთებელი ვაგონის სქემას.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

გაზაფხული გვიხმობს

ორგანიზებულობის მაგალითი

ოზი. (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). წლევანდელი ზამთარი როდი ანებივრებს მაღიეთ-ხიდეშლების აგროგანყოფილების მშრომელებს. დიდი თოვლი და ყინვები სერიოზულ სიძნელეებს უქმნის აქაურ მხვნელ-მთესველებს, აფერხებს გაზაფხულისათვის მზადებას. მიუხედავად ამისა, განყოფილების კოლექტივი უნარიანად იყენებს ყოველ დარიან დღეს, ამზადებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას თესვისათვის, ნიადაგში შეაქვს ორგანული სასუქი.

სამიდიის სათესი ფართობის განოყიერების მიზნით ჯერ კიდევ შემოდგომაზე დაიწყეს მხვნელ-მთესველებმა ნიადაგში ორგანული სასუქის შეტანა. უკვე შეტანილია 300 ტონა ნაკელი, გეგმა კი 250 ტონას ითვალისწინებდა. ორგანული სასუქის შეტანა გრძელდება. ამ საშური საქმის შესრულებაში ყველაზე მეტად ისახელეს თავი მეურნეობის მოწინავე მუშებმა ვ. აბესალაშვილმა და ა. გუგეშაშვილმა. თითოეულმა 20-20 ტონა სასუქი შეტანა ზვრებსა და სიმინდის სათეს ფართობებში.

აგროგანყოფილების მექანიზატორების ამოცანაა საგაზაფხულო ხვნა-თესვის დაწყებამდე მინდვრად დამატებით გაიტანონ სულ ცოტა 100 ტონა ნაკელი და ამით მტკიცე საფუძველი შეუქმნან ხუთწლედის შუაგული წლის მოსავალს.

ანოყიერებენ მინდვრებს

ბოგდანოვკა რაიონში შარშანდელი ტემპის გასწრებით მიმდინარეობს საშემოდგომო ნათესებში მინერალური სასუქების შეტანა.

შემუშავებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საგარგულების შემდგომი კომპლექსური ქიმიზაციის რეკომენდაციები, რომლებშიც გათვალისწინებულია სასუქების დოზები და ვადები, ტექნიკის, საწვავ-საპოხი მასალების, ზხამ-ქიმიკატების დამატებითი რაოდენობა, რომლებიც საჭიროა ყველა აგროტექნიკური ღონისძიების სრულყოფილი განხორციელებისათვის. სპეციალისტების გამოანგარიშებით, ეს მოსავლიანობის გადიდების დიდ შესაძლებლობას შექმნის.

საქმეთა მდგომარეობა

„ეტაჟერიდან“ აერობუსამდე

„პატივცემულო მგზავრებო, თქვენ იოგბილარები გემსახურებიან, ჩვენ სამოცი წლისა ვართ“. ასე, ან შეიძლება რამდენადმე სხვაგვარად მიესალმებიან ამ დღეებში ბორტგამყოლები მგზავრებს ავიაალაინერების ეკიპაჟების სახელით. აეროფლოტს 60 წელი შეუსრულდა. მისი ბიოგრაფია დაიწყო 1923 წლის 9 თებერვალს, როცა შეიქმნა სამოქალაქო ავიაციის საბჭო.

ამჟამად ორგზის ორდენოსანი სსრ კავშირის ავიაცია — სახალხო მეურნეობის დიდად განვითარებული მრავალშტოიანი დარგი, რომელიც მოქმედებს მატერიალური წარმოების სფეროში, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მის წარმატებებში ღირსეული წვლილი შეაქვთ საქართველოს ავიატორებსაც.

ტრადიციისამებრ, მიღებულია შეგვიკითხოთ იუბილარს, როგორი იყო ჩამოყალიბების პირველი დღეები, პირველი ნაბიჯები. სწორედ ამ კითხვით დაიწყეს საქინფორმის კორესპონდენტებმა საუბარი სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს უფროსთან ა. ი. ზედგინიძესთან.

— პირველი ქართველი სამხედრო მფრინავი, რომელიც რუსეთის არმიაში მსახურობდა, იყო მიხეილ დმიტრის ძე აბაშიძე. მან 1912 წელს დაამთავრა სევასტოპოლის საფრენოსნო სკოლა, მსახურობდა კიევში. იქ ფიი დაუმეგობრდა „მკვდარი მარყუჟის“ მსოფლიოში პირველ შემსრულებელს ი. ნესტეროვს და მასთან ერთად ამუშავებდა უმაღლესი პილოტაჟის ამ ელემენტის თეორიას. თავისი სახელგანთქმული მეგობრის კვალდაკვალ მან განახორციელა იმ დროისათვის რეკორდული დაფაფრენა კიევი-ვლადიკავკაზი (ახლანდელი ორჯონიკიძე). მაგრამ ჯერ კიდევ მანამდე, 1905 წელს თბილისში პირველ ჰაერნაოსანთა წრეში შევიდა 35 კაცი და მათ შორის პირველი ქართველი ავიამშენებლები და მფრინავები ბესარიონ სავლეს ძე ქებურია და ალექსი ვლადიმერის ძე შიუკაშვილი.

ძნელია ჩამოთვალოთ საქართველოს ავიაციის ყველა პიონერის სახელი, რომლის განვითარება იმ წლებში მოლიანად ერთგულების ენთუზიაზმს ეფუძნებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და 1923 წლის მარტში შეიქმნა საავიაციო საზოგადოება „ზაკავიო“, დაიწყო ავიაციის და, კერძოდ, სამოქალაქო ავიაციის სწრაფი აღმავლობა.

ავიატორებს

9 თებერვალს თბილისის ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც აეროფლოტის 60 წლისთავს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ბ. ზ. ბარსუკოვი, ო. მ. ივანაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. ა. კვაშაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მფრინავებმა ი. სამადალაშვილმა, თ. იაროსლავცევმა, მ. ძუგუტოვმა და სხვებმა.

მგზავრები ყველაზე ხშირად ეცნობიან ახლოდან ფრენის ბილეთებს ეკიპაჟს, რომლითაც მიფრინავენ, მაგრამ ყოველ მგზავრობას — აფრენით დაფრენებით და დაშვებით დამთავრებული — უზრუნველყოფს დედამიწაზე მომუშავე ასობით ადამიანი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საიმედო მფრინავი ფრენა მარტო ტუ-154-ს ერთ რეისზე გადაჰყავს მეტი მგზავრი, ვიდრე რესპუბლიკის მთელ მაშინდელ სამოქალაქო ავიაციას ერთ თვეში გადაჰყავდა. სულ კი შარშან ჩვენი სამმართველოს თვითმფრინავებმა გადაიყვანეს დაახლოებით ორ მილიონნახევარი მგზავრი. მაგრამ აეროფლოტი მარტო მგზავრების გადაყვანა როდია. ეს არის 16600 ტონა ფოსტა და ტვირთი მარტო ჩვენი სამმართველოს ბაზით, ცოდან დამუშავებული 460 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სანიტარიული ავიაციის მიერ გადარჩენილი ათობით ადამიანი... ძირითადად ეს სამუშაოები რეაქტიული ტექნიკის საშუალებით შესრულდა. სხვათა შორის ტუ-104 თვითმფრინავები

— მაგრამ მგზავრები ხომ თვითმფრინავში ჩასხდომამდე გაცილებით ადრე, ბილეთის შეძენისთანავე ვხდებით ხოლმე.

— ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა გავაუმჯობესოთ მგზავრების ბილეთებით უზრუნველყოფა. გაფართოვდა აეროფლოტის სალაროების ქსელი, საკურორტო ზონებში მუშაობენ მიმოსვლის მოლარეები. სრულყავით ავიაბილეთების დაჯავშნისა და გაყიდვის სისტემა, აგრეთვე ავტომატური სისტემა „სირენის“ დაზმარებით ადგილების ცენტრალიზებული დაჯავშნა. საჰაერო მიმოსვლის ცენტრალურმა სააგენტომ და თბილისის აეროპორტის სამსახურებმა ეაიერთიანეს მეცადინეობა მგზავრთა მომსახურებისათვის.

და, საერთოდ, ვცდილობთ გავაუმჯობესოთ მიწისზედა მომსახურების ყველა ასპექტი.

— ცოტა უფრო შორს რომ გავიხედოთ, როგორ ფიქრობთ, რანაირი იქნება ახლანდელი იუბილარი?

— დავიწყებ იმით, რომ გაცილებით გაბიზდება აფხაზეთში დამსვენებელთა რიცხვი. რა შუაშია აქ აეროფლოტი? 350-ადგილიან ილ-86 აერობუსებს ამიერკავკასიაში ერთ-ერთი პირველი მიიღებს სოხუმის აეროპორტი.

გავა რამდენიმე წელი და რესპუბლიკის პრაქტიკულად ყველა აეროპორტი შეიცვლის სახეს, უფრო კომფორტული გახდება.

ხაუბარი ჩაიწერეს საქინფორმის კორესპონდენტებმა

ბ. გაზაევმა,
ვ. გოლოვინმა.

აეროფლოტის 60 წლისთავისათვის

პარტიული ცხოვრება: ინიციატივა, დისციპლინა, პასუხისმგებლობა

ყველას თავისი მიეზღოს...

ღია პარტიული კრებების ჩანაწერებიდან

შარშანდელი წელიც, წინანდელთა მსგავსად, ერთობ წარმატებული და ახალი გამარჯვებების მომტანი იყო ქუთაისელ მშრომელთათვის. — ქალაქი ზედიზედ მეცხრედ დაჯილდოდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშით. ეს ჯილდო, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ზრდის ქუთაისელთა პასუხისმგებლობასა და მონდომებას, ახალი წარმატებებისთვის, მიმდინარე წლის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის საბრძოლველად განაწყობს მათ.

წლევანდელი სამეურნეო წლის ამოცანები კი მეტად რთული და პასუხსაგები. ისინი მკაფიოდ და ნათლად განისაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე, რომელმაც ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დასახა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცების საკითხი.

და სწორედ დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას ემსახურებოდა ქალაქის მოწინავე საწარმოებში — ლითოფონისა და ელექტრომექანიკური ქარხნების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გმამართული ღია პარტიული კრებები. მათმა მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, მოსკოვის მოწინავე საწარმოების თაოსნობა — „პატივი და დიდება — შრომის მიხედვით!“ და მათი განხორციელების საქმეში თავიანთი კოლექტივების ამოცანები.

რატომ მაინცდამაინც ქალაქის ამ მოწინავე საწარმოებში მოეწყო ეს ღია პარტიული კრებები?

ამ გადაწყვეტილების მიღებისას პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტები იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ სწორედ მოწინავე სამრეწველო საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებში გამართული ღია პარტიული კრებები უფრო მკვეთრად გამოავლენდა იმ დიდ შესაძლებლობებს, რომელთა საქმის სამსახურში ჩაყენება უფრო გაზრდიდა წარმატებებს. ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ თუნდაც მათი საწარმოო მაჩვენებლები.

ელექტრომექანიკური ქარხანა: მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში აქ ბევრი რამ გაკეთდა საწარმოო და შრომის დისციპლინის ასამაღლებლად, ტექნიკური სამსახურების გასაძლიერებლად, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დასანერგვადად. 1982 წლის მთლიანი პროდუქციის წარმოების დავალება 107,6 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა 108,1 პროცენტით შესრულდა. დამზადებულია მილიონ 225 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი. ქარხნის კოლექტივმა ოთხჯერ გაიმარჯვა დარგის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, საუბილეო წლის მაჩვენებლებით კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

ლითოფონის ქარხანა: ქარხნის კოლექტივმა შარშანდელი წლის დავალება 22 დეკემბრისათვის შეასრულა, წლის ბოლომდე დარჩენილ დროში კი მილიონ 647 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადა. ხარისხისნიშნიანმა ნაწარმმა 27,3 პროცენტი შეადგინა, წარმოების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 0,4 პროცენტით გაიზარდა, რაც, ძირითადად, შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე არის მიღწეული.

შარშან დაიზოგა 652 კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1253 ტონა საწვავი, 30 ტონა ოლიფა, 27 ტონა სხვადასხვაგვარი დიდძალი სათბობი. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა საწარმოს სასურსათო პროგრამის გადასაჭრელად. ქარხნის საბოსტნე ნაკვეთებიდან მუშათა სასადილომ და ხილბოსტნეულის მაღაზიამ 5 ტონა სხვადასხვაგვარი ბოსტნეული და მწვანილი მიიღო, კეთილმოწყო 2,5 ჰექტარზე არსებული საბოსტნე ნაკვეთი, გაშენდა ორი თეგზის აუზი და ა. შ.

ერთი სიტყვით, წარმატებები არის, მაგრამ მიღწევები უფრო მეტი იქნებოდა, ამ ქარხნების კოლექტივებს უკეთ რომ გამოეყენებინათ არსებული შესაძლებლობანი, რეზერვები, მეტი ეზრუნათ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ღია პარტიული კრებების დაწყებამდე მშრომელთა კოლექტივებმა განიხილეს და დიეკვეს 1983 წლის ვალდებულებანი. მშრომელთა წარმომადგენლებმა ისინი დაიცვეს ბრიგადის კრებებზე, ბრიგადებმა — ცვლების, ხოლო ცვლებმა — საამქროთა კრებებზე. ამან ხელი შეუწყო ერთიან საქარხნო ვალდებულებათა შემუშავებასა და განხილვას, ვალდებულებებში გასაკუთრებული ადგილი უჭირავს ყველგან და- ყველაფერში დისციპლინის განმტკიცებას.

და მაინც, რა იყო მთავარი ამ ღია კრებებზე?

როგორც მომხსენებლებმა — საწარმოთა დირექტორებმა ს. მურულიამ და ზ. ქაჯაიამ, აგრეთვე კომთის მონაწილე კომუნისტებმა აღნიშნეს, მოსკოველთა თაოსნობას — „პატივი და დიდება შრომის მიხედვით“ — დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. მათ კრიტიკულად გააანალიზეს არსებული მდგომარეობა, დასაზეს 1983 წლის უკეთესი მაჩვენებლების მიღწევის ღონისძიებანი.

ლითოფონის ქარხანაში გამართული ღია პარტიული კრების მომაწილეებმა აღნიშნეს, რომ დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ გამხდარა საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მთავარი მიმართულება. სწორედ ამის შედეგია, თქვეს მათ, რომ კვლავ დიდხა კადრების დენადობა, გაცდენები. მარტო შარშან ქარხნიდან წასვიდა 165 კაცი. სამუშაო უმეზუზოდ გაცდენია 100 კაცმა. მათ აღნიშნეს ისიც, რომ საწარმოში სათანადოდ არ იბრძვიან ნიშნულებისამებრ არ იყენებენ ხიდურა ამწეს, მისი მუშაობა სათანადო ეფექტს არ იძლევა. ჯეროვანი ღონისძიებები არ ხორციელდება მუშათა საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის და სხვ.

მწვავედ, მეტად პირუთვნელად ილაპარაკეს დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე ელექტრომექანიკურ ქარხანაში გამართული კრების მონაწილეებმა. მათ აღნიშნეს, რომ ჯერაც მნიშვნელოვანია კადრების დენადობა, მოუფარი პირდაპირობით, პრინციპულად გამოამზეურეს ბევრი ნაკლი თუ ხარვეზი. ამ მხრივ ერთობ საინტერესო იყო ელექტროსატვირთელების საამქროს ელექტროშემდუღებლის ა. შკრაბაკის გამოსვლა.

— ჩვენ პრემიას ხშირად მრუდსაც და მართალსაც ერთნაირად გვაძლევენ. ხოლო პატივი და დიდება თითოეულ მუშაკს, მართლაც, მხოლოდ შრომის მიხედვით უნდა მიეგოს. ჰოდა, სანამ სწორედ ასე არ იქნება, არ გვინდა ასეთი პრემიები, — განაცხადა მან.

მას სხვებმაც დაუჭირეს მხარი, აღნიშნეს, რომ ამ მხრივ არ არის ჯეროვანი წესრიგი, რომ ქვითლისნდისიერი მუშაც და გამცდენიც, მოწინავეც და წუნის მკეთებელიც ერთნაირად იღებს გასამჯელოს, პრემიას, ერთნაირად სარგებლობს სახალხო დოვლათის შემქმნელის სიკეთით. ამის საილუსტრაციოდ ასეთი ფაქტიც კმარა: ელექტროსატვირთელების საამქროში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის პრემია სავსებით სწორად დაიმსახურეს მოწინავე მუშებმა ვ. ჭელიძემ და ვ. სმოვსკიმ, მაგრამ მათთან ერთად აღმოჩნდა შრომის დისციპლინის დამრღვევი, ოსტატი ბ. კვინიკაძეც. მართლაც, რა ფასი აქვს ასეთ წახალისებას, ამართლებს კი იგი თავის დანიშნულებას?

მთელი კოლექტივის აზრი გამოთქვა ლითოფონის ქარხნის მოწინავე მუშამ ზ. ნემსიწვერიძემ. პატიოსანი მშრომელი, თქვა მან, არ შეიძლება გულგრილად მოეკიდოს ახალ თაოსნობას, რომლის მიზანია შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, უყაირათობის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ჩვენ კარგად ვიცით ის უდავო ჭეშმარიტება, რომ დევიზი — „პატივი და დიდება — შრომის მიხედვით!“ — სწორედ მუშათა კოლექტივის სახელმძღვანელო პრინციპია...

მუშათა კოლექტივებში კრებების შემდეგაც დიდხანს გაგრძელდა საქმიანი სჯა-ბაასი, გავუმჯობესოთ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, იდეოლოგიურად უზრუნველვყოთ ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმე! — ასეთია თითოეული მათგანის მოთხოვნა...

ეჭვგარეშეა, რომ ყველგან და ყველაფერში სათანადო წესრიგის დამკვიდრებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის ამ ათიოდე წლის წინათ ქალაქში დაწყებული მოძრაობა, რომელსაც წლეულს პირველადი პარტორგანიზაციების, კომუნისტების მეთაურობით ახალი ბიჯანება მიეცა, კიდევ უფრო გაძლიერდება, მასშტაბური გახდება. ეს კი ქალაქის მშრომელებს, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის პატრიოტულ თაოსნობას, უთუოდ დაეხმარება ახალი წარმატებების მოპოვებაში.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

სწავლობენ პარტორგანიზაციათა მდივნები

ცხინვალი. (ხაკ. კორ.). პარტიის რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევს პირველადი, საამქრო, საბრიგადო პარტორგანიზაციათა მდივნების, პარტკომფორგების, აქტივისტების სწავლებას, ზრუნავს მათი ცოდნის დონის ამაღლებისა და თვალსაწიერის გაფართოებისათვის. ამ მიზნით რეგულარულად ეწყობა შინაარსიანი ღონისძიებები, საქმიანი შეხვედრები. სწორედ ასეთი იყო აქ გამართული ორდღიანი სემინარიც.

მისმა მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების მოთხოვნებიდან გამომდინარე დგას რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების წინაშე, ერთობლივად იმსჯელეს მათი ბრძოლის გზებსა და საშუალებებზე. რაიონის ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები მათ ესაუბრნენ აგრეთვე შინაპარტიული, სამეურნეო, იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

შემდგომ სემინარის მონაწილეებს მუშაობის საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს პარტიული ბიუროს, ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის და ძველი სუნაკის სანაშენე მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნებმა.

დასასრულ ცხინვალის ხალიჩების კომბინატის ბაზაზე გაიმართა პრაქტიკული მეცადინეობები.

● ●

ჩხოროწყუ. („კომუნისტის“ კორ.). ამას წინათ პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა რაიონის პარტორგანიზაციათა მდივნების ერთწლიანი სკოლის პირველი მეცადინეობა.

დამსწრეთ მოისმინეს მოხსენებები: „პარტიულ დავალებათა განაწილების პრაქტიკა“, „იდეოლოგიური მუშაობის დაგეგმვა“, „სკკპ რიგებში მისაღებათა დოკუმენტების გაფორმების წესი“, „პირველადს პარტორგანიზაციაში საქმის წარმოების სრულყოფის შესახებ“, „კომკავშირული ორგანიზაციებისად მ ი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები“ და სხვ.

სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების კონკრეტულ ამოცანებზე საკოლ მსმენელებს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი კ. ქაჯაია.

ზ. ალექსიძე.

ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს

რა დგას დანაკარგების მიღმა?

როცა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრო საქვეუწყებო ორგანიზაციებში მატერიალური რესურსების გამოყენების სისწორეს ამოწმებს, ჭშირად გაიგონებ დაახლოებით ამგვარ დიალოგს: „თქვენ ცემენტის დიდ გადახარჯვას აფიქსირებთ. როგორ არ იქნება გადახარჯვა, როცა ცემენტის გადმოტვირთვისას იგი არ იწონება და უკონტროლოდ იხარჯება, ღორღს კი თიხა ურევია ხოლმე, რაც წუნიანი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოშვებას იწვევს“.

ბევრი სახეობის ნედლეულს ხშირად ხატოვნად ადარებენ ხოლმე ერთმანეთს. ნავთობს — შავ ოქროს, გაზს — ცისფერ საუნჯეს, ლითონსა და ქვანახშირს მრეწველობის პურს უწოდებენ, ცემენტს კი — მშენებლობის პურს. ყველაფერი ეს სწორია. მაგრამ მისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორიც ზემოთ მოგახსენეთ, გამონაკლისი კი არა, თითქმის სავალალო კანონზომიერებაა. ამას ადასტურებს შემოწმებათა მრავალი აქტიც.

ავიღოთ, თუნდაც 1980 წლის — მეათე ხუთწლედის სამაბისო წლის 17 ოქტომბრის აქტი. ქუთაისი. № 4 ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა. ამ საწარმოს დირექტორია ა. სარალიძე, მთავარი ინჟინერი — ა. დათიაშვილი. აქ ცემენტს დიდი დანაკლისით იღებენო, აღნიშნულია აქტში. აქ არა აქვთ რკინიგზის სასწორები. ამიტომ შეუძლებელია ტრანსპორტირების დროს დანაკარგების განსაზღვრა. დანაკარგები კი არის. ეს თვალდათვალაც ჩანს. არსებობად, ქარხნის ხელმძღვანელებს განგაში უნდა აეტეხათ, რათა წესრიგი დამყარდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენს ოცნებებს განეკუთვნება. სიბამდვილეში ყველაფერი ძველებურად რჩება. უფრო მეტიც, გულგრილ უზრუნველობას იჩენს ტრესტის საპრეტენზიო სამსახური, რომელსაც იურისკონსულტი ვ. კინწურაშვილი მეთაურობს. მას დიდი უფლებები აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად არ იყენებს.

შემთხვევით როდი ავიღეთ 1980 წელი, უკვე დაიწყო 1983— მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წელი, № 4 ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში კი იგივე ნაკლოვანებანი და ხარვეზებია.

თანაც აქ არა აქვთ ბუნებრივი ზარალის ნორმები და ცემენტის შენახვის ინსტრუქციები, არც საშენ მასალათა მომჭირნედ ხარჯვის ტექნიკური წესები.

მეორე მხრივ, ამ ქარხანაში, ისევე როგორც რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა საწარმოში, რთული ტექნოლოგიური პირობებია. ეს ცემენტის გადიდებულ ხარჯვას იწვევს. თითქმის მიღებულია, რომ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ძალზე ძნელია. როდემდე? ეს ხარვეზები მოდამ დარჩება, თუ საწარმოთა ხელმძღვანელები ჯეროვან პრაქტიკულ ღონისძიებებს არ განახორციელებენ.

ჯერჯერობით კი, ის პირობები, რომლებზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, გათვალისწინებულია „ორგტექმშენის“ ტრესტის მიერ შემუშავებულ ნორმებში და დაამტკიცა კიდეც რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ. მაშასადამე, ასე გამოდის, რომ ცემენტის გადახარჯვა არ ყოფილა. შარშან ეკონომიამ № 4 ტრესტის ხაზით 240 ტონა, ანუ დავალების ასი პროცენტი შეადგინა.

ერთი სიტყვით, ქუთაისელები მძიმე, ძნელად აღმოსაფხვრელი პირობების ნიღბით ცემენტს ისე ხარჯავენ, როგორც მოეპრიანებათ, დარგში კი აკანონებენ მის ზენორმატიულ დანაკარგებს, რომელიც მთელი სამშენებლო სამმართველოს წლიურ მოთხოვნილებას უტოლდება. საინტერესოა, რას იტყოდა ამის თაობაზე № 4 ტრესტის მთავარი ინჟინერი თ. ბერეკაშვილი, რომელიც პასუხს აგებს მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის?

ახლა, მოდით, რიონის ნაპირებიდან მტკვრის ნაპირებზე გადმოვინაცვლოთ და თბილისს ვეწვიოთ. შარშან, კვითხულობთ 1982 წლის 23 იანვრის აქტში, „მშენინდუსტრიის“ ტრესტის (დირექტორი — ა. თევდორაძე, ყოფილი მთავარი ინჟინერი — ი. დიღმელი) მესამე რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში რკინაბეტონის ნაკეთობათა დამზადებისას უკანონოდ ჩამოწერეს 1190 ტონა ცემენტი. თანაც, მაღალმარკიანი ბეტონების წარმოებისას დაბალმარკიან ცემენტებს იყენებენ, რაც საერთო-საკავშირო ნორმებით აკრძალულია. ასეთმა „ტექნოლოგიამ“ მარტო 1981 წელს 348 ტონა ცემენტის გადახარჯვა გამოიწვია. იმავე წელს 486 კუბური მეტრი პროდუქციის დამზადებაზე, რომელიც, სხვათა შორის, შემდგომში დაწუნებულ იქნა, კიდევ 170 ტონა ცემენტი დაიკარგა. ამ „ყულაბას“ შეემატა კიდევ 92 ტონა ცემენტი, რომელიც განზე გაუშვეს აუნაზღაურებლად.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. ერთი მხრივ, ქარხნებში გადახარჯვაა, ხოლო მეორე მხრივ — ცემენტი იზოგება. ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვიგებთ, ეს ასეთი ვირიანტია გამორიცხული: ერთი ვაგონი ცემენტი — ბეტონის კვანძი.

მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს „მშენკომპლექტის“ ტრესტის მატერიალური რესურსების ხარჯვისადმი კონტროლის ინსპექციამ შეამოწმა განზე გაცემული მატერიალური რესურსები, მათ შორის, ცემენტზე გადაანგარიშებით. თურმე, დარგის 25 ქვეგანაყოფს განზე გაუშვია, ესე იგი მშენებლობის სამინისტროს ცენტრალურ ბალანსზე, ორგანიზაციებისათვის მიუცია 4.600 ტონა ცემენტი. იქნებ დაზოგეს ხარჯზე გაკეთეს ეს? სრულიადაც არა. გეგმის თანახმად, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მეათე ხუთწლედში ცემენტის ხარჯვის ნორმა მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე 7 პროცენტით უნდა შეემცირებინა. ფაქტობრივად კი ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 4,8 პროცენტს მიაღწია. ჩვენი აზრით, ცემენტის ხარჯვა მოცულობათა ღირებულების მიხედვით კი არა, ნამდვილი მოთხოვნილების შესაბამისად (დანაკარგი კი კვლავინდებურად ძალზე დიდია) კონკრეტული დამნაშავენი დგანან. შემთხვევითი როდია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა, რომელზეც რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა განიხილეს, კერძოდ, ყველა რანგის ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო მატერიალური რესურსების დაზოგვის რეჟიმის გაძლიერებას. მდდღარი ის კი არ არის, ვისაც ბევრი აქვს, არამედ ის ვინც ყაირათიანად ხარჯავს.

ინტერესს არ იქნება მოკლებული გადავხედოთ ცემენტის მოწოდების დაგეგმვისა და მისი ეკონომიის ნორმების მოქმედ მექანიზმს. ცემენტზე მოთხოვნილებას მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე გაანგარიშებით გეგმავენ. ამრიგად, იგი ფაქტობრივად საწყაო ხდება. ტონა ცემენტში — ტონა ლითონი. არც ასეთი ვირიანტია გამორიცხული: ერთი ვაგონი ცემენტი — ბეტონის კვანძი.

